პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 1 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მხედარი

70 (758) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

F 329 N 847
Библиотека
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...იდი მნიშვნელობის თათბირი.

... დღეებში დაიწყო მუ-...ბა კავკასიის წითელ დრო-...ან არმიის კომუჯრედების ...ნების და აგიტპროპ მო-...ვეთა თათბირმა. დღე-...ვეს მომენტში ამ თათ-... უდიდესი მნიშვნელობა ...ვა იმდენათ, რამდენათ ...ანიხილავს მთელ რიგ სა-...ოროტო საკითხებს, რომ-...იც ეხებიან პარტიის მუშა-... და აგიტპროპაგანდის საქ-... წითელ ჯარში.

...თელი არმიის სიძლიერე, ... წარმატებით წინსვლა და ...იერება უმთავრესად და-...დებულია იმისგან, თუ ...ენათ ნაყოფიერად მუშა-... მასში პარტია უფრო სწო-... რომ ვსთქვათ პარტიის ...ლობრივი ორგანიზაციები ...ჯრედების სახით. ამ უკა-...ელთ უხდებათ მუშაო-... უშუალოთ წითელ არმი-...ა ფართო მასაში.

...იტომაც მათი სწორი მუ-...ისაგან, მათი აქტივობისა-... დიდათ დამოკიდებულია ...იის გავლენის ზრდა წით-...არმიელებზე და წითელ არ-... რიგების განმტკიცებაც. ...კუთრებით დიდათ გაიზა-... ნაწილების კომუჯრედების ...ი ამ მხრივ არსებულ მო-...ში, როცა ჩვენი პარტიის ... საბჭოთა ხელისუფლების ...ი ყურადღება მიქცეულია ...ბის და გლეხების კავში-... გამტკიცებაზე და გაძლი-...აზე.

... კავშირის საუკეთესო გან-...რებაა წითელი არმია რო-მლის რიგებში იმყოფებიან მუ-შებისა და გლეხების შვილები. ამიტომაც წითელ არმიის ხაზი-თაც ჩვენი პარტიამ უნდა ეცა-დოს ყოველმხრივ ამ კავშირის გაღრმავებაზე. გარდა ამ დიდი ამოცანისა პარტიის წინაშე წი-თელ ჯარში სდგას მტკიცე დი-სციპლინის შექმნის საკითხიო.

წითელი არმია ძლიერი იქ-ნება მაშინ, როცა მის რიგებში ფოლადი რევოლიუციონუ-რი დისციპლინა იქნება. ცხადია ამ მხრივ პარტიამ დი-დი მუშაობა უნდა გასწიოს და ყოველ მხრივ ხელი უნდა შე-უწყოს ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

ზემოხსენებული თათბირი ყოველივე ამას დაწვრილებით გაარჩევს, გაითვალისწინებს არ-სებულ გამოცდილებებს და გამოიტანს სათანადო პრაქტი-კულ გადაწყვეტილებებს ყველა ამ საკითხების გადასაჭრელად.

რაც შეეხება აგიტპროპაგან-დის საქმეს თათბირი გაუკეთებს ჯამს მთელ მუშაობას ამ დარ-გში, აღნიშნავს ყველა ნაკლს, მიღწევებს და დაისახავს ახალ ამოცანებს ამ მხრივ. მთავარ ყურადღებას ამ მხრივ თათბირი მიაქცევს იმ გარემოებას, თუ რამდენათ გატარდა ცხოვრება-ში მესამე საარმიო კონფერენ-ციის დადგენილებები.

ერთი სიტყვით თათბირის წინაშე სდგანან მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხები, რო-მელთა გადაჭრით ჩქარი ნაბი-ჯით და წარმატებით წავა წინ პარტიული და აგიტპროპ მუ-შაობა წითელ ჯარში.

---

## ...ძოლა საპრეზიდენტო ადგილი-სათვის.

...რმანიაში მოხდა პრეზი-...ის არჩევნები. მაგრამ პრე-...ნტი არ იქმნა არჩეული, რო...? — იკითხავს მკითხველი. ...ვნები მოხდა და არავინ ...ირჩიეს? რაშია საქმე?

... რასში. თანახმად გერმანიის ...უბლიკის კონსტიტუციისა ...იდენტად გადის ის ვინც ...ვნებზე მიიღებს ხმების აბსო-...ტიურ უმრავლესობას. იმ ...ხვევაში თუ ასეთი ბედნიერი ...ნ არ აღმოჩნდა, ინიშნე-...ხელმეორე არჩევნები, სა-... პრეზიდენტად ირჩევა ის ...იდატი, რომელიც ყვე-... მეტ ხმას მიიღებს.

...რველმა არჩევნებმა თანახ-... ამ კანონისა არავითარი ...ფი არ მოიტანა, ვინაიდან ... ერთ კანდიდატმა ვერ ...ო საჭირო აბსოლიუტური ...ვლესობა.

უნდა ითქვას რომ ასეთ შე-დეგს პირველ არჩევნებისა ყვე-ლა პარტიები მოელოდა.

მათ თუ მიიღეს მონაწილე-ობა ეს იმიტომ, რომ წინა-სწარ მოსინჯეს თავიანთი ძა-ლები.

ამას სავსებით ამტკიცებს არ-ჩევნების მსვლელობა.

რადიოს გადმოცემით არჩევ-ნები ძლიერ წყნარად ჩატარ-და, იშვიათი გულგრილობით, ყოველგვარ სიცხარეს და საა-რჩევნო მღელვარებას მოკლე-ბული. თვით მონაწილეთაც რიცხვი საგრძნობლად ნაკლები იყო, ვიდრე რეიხსტაგის არ-ჩევნების დროს.

ამრიგად გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა ეძლევა მეორე არჩევ-ნებს, ვინ გაიმარჯვებს? მიუხე-დავათ იმისა, რომ პირველ არჩევნებმა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია, მან მაინც მოგვ-ცა საკმაო სურათი არჩევნებში მონაწილე პარტიების ძალთა განწყობილებისა. პირველ არ-ჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო მსხვილი ბურჟუაზიის და მემამულეების კანდიდატმა იარესმა, რომელიც ცნობილია როგორც მუშათა კლასის უსა-სტიკესი ჯალათი.

მეორე ადგილი კი დაიკავა სოციალ-დემოკრატმა ბრაუ-ნმა. უკვე ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს იმას, რომ მომავალ არჩევნებში სოციალ-დემოკრა-ტები ვერ გაიყვანენ თავის კანდიდატს. ამიტომ მოსალოდ-ნელია სოციალ-დემოკრატია შეუერთდეს საშუალო ბურჟუ-აზიის პარტიებს ცენტრს და სახალხო პარტიას, რომელთა კანდიდატი მარქსია. ამრიგად მომავალ არჩევნებში, რომელიც შესდგება აპრილში დაეჯახე-ბიან საშუალო ბურჟუაზიის და მსხვილი ბურჟუაზიის კანდი-დატები.

მარქსი ან იარესი. ასე სდგას კითხვა.

მაგრამ მარქსი დაჯდება თუ იარესი სულ ერთია მუშათა კლასისათვის, ვინაიდან ორივე ისინი სასტიკი მტერია მუშათა კლასის, და როგორც ასეთები დარბევის და დამონავების მეტს არაფერს მოუტანენ პროლე-ტარიატს.

მხოლოდ გადამწყვეტი და შეუდრეკელი ბრძოლა ბურჟუ-აზიის წინააღმდეგ კომპარტიის მეთაურობით იხსნის გერმანიის მუშათა კლასს კაპიტალის მო-ნობის ბრჭყალებისაგან.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## პოლონეთის დაქირავებულთა მხეცური საქციელი.

### ამხ. ამხ. ბაგინსკისა და ვეჩორკე-ვიჩის მოკვლა.

პოლონეთ საბჭოთა საზღვრებზე, მინსკის ახლოს უნდა მომხდარიყო ორი, პოლონეთის პოლიტპატიმარის—ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის გაცვლა საბჭოთა კავშირის პატიმარ—პატრ უსსასზე. მაგრამ ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი გზაში მინსკამდე მხეცურად იქნა მოკლული მხლებელ პოლიციელთა და ჟან-დარმების მიერ.

## თავის მთავრობის ღირსეული წარ-მომადგენელი.

როცა მხეცური მკვლელობის გამო გაცვლა აღარ მო-ხერხდა, პატრი უსსასი ჩაიკეტა პოლონეთის საკონსულოში და უარი სთქვა ლენინგრადში დაბრუნებაზე.

გაცემულია განკარგულება შეიპყრონ უსსასი და მოიყვა-ნონ ლენინგრადში, სადაც უნდა მოხდეს დიდი გასამართლე-ბა, რომელიც გამოაშკარავებს საბჭოთა კავშირში მყოფ პო-ლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლების ყოფასა და ქცევას.

უსსასს ბრალი ედება მის ხელქვეით, კომისიის თამშრო-მელ ქალების წამებაში და აგრეთვე მასთან მისულ მთხოვნელ ქალთა გახრწნაში.

ყოველივე ეს ხდებოდა სქესობრივი არა ნორმალობის გამო, რაიც კარგად იცოდა პოლონეთის საელჩომ, მაგრამ ის არავითარ ზომას არ ღებულობდა.

---

## ევროპელი ლიდერები თანდათან ჰკა-რგავენ ნდობას მუშათა მასებში.

საფრანგეთის ბრინჯაოს მუშათა პროფკავშირიდან დაჟი-ნებით მოითხოვდენ მათი ლიდერები, რომ გაერიცხათ კავ-შირის რიგებიდან კომპარტიის კანდიდატი ლუტენსი. მაგრამ პროფკავშირმა ერთხმად უარყო ლიდერების წინა დადება.

## როგორ დაასწრო მუსოლინიმ მაკდონალდს.

კომპარტიის ორგანო „სადეი უორკერი“ ამტკიცებს, რომ მაკდონალდმა უარყო ელჩების გაცვლა საბჭოთა კავში-რთან, რადგანაც არ სურდა „კაროლის გრძნობის შელახვა“, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა „შეხვედროდა სხ-დომებზე ბოლშევიკებს და ჩამოერთმია მათთვის ხელი“.

როცა მაკდონალდი სახელმწიფოს სათავეში ჩადგა, დაი-წყო მოლაპარაკება მუსოლინთან, რომ მასაც არ დაენიშნა ელჩი საბჭოთა კავშირში, მაგრამ მაკდონალდი ვერ გაუმაგ-რდა ინგლისის პროლეტარიატის მოთხოვნას და ისე იცნო საბჭოთა კავშირი, რომ არ გაუფრთხილებია მუსოლინი.

ეს რომ მუსოლინმა გაიგო, დაიფიცა რომ როგორმე სამაგიეროს გადაუხდიდა მაკდონალდს და ეს სამაგიერო გა-მოიხატა იმაში, რომ მუსოლინმა საჩქაროდ მოახდინა ელჩე-ბით გაცვლა საბჭოთა კავშირთან.

## ჩვენი გამოფენის გამარჯვება ლეიპციგის ბაზრობაზე.

### „საბჭოთა კავშირი მზადაა დაიპყ-როს საერთაშორისო ბუნქტები“.

გაზ. „ტრიბუნა“ ხაზგასმით აღნიშნავს იტალიის პავილი-ონის სიღარიბეს ლეიპციგის გამოფენაზე და ამბობს:

**„ბოლშევიკებში კი ნუ ჩაგვთვლიან და ვიტყვით მხოლოდ, რომ საბჭოთა პავილიონში დიდებული წესრი-გია და რამოდენიმე დარბაზი, რომელიც დათმობილი აქვს გამოფენაზე საბჭოთა კავშირს, წარმოადგენს ორგანიზა-ციის საკვირველებას.**

საბჭოთა კავშირი გამოფენაზე გამოსვლით ამტკიცებს, **რომ ის ევროპის ეკონომიკის დიდი ფაქტორია და მზადაა საერთაშორისო პუნქტების დამყრობისთვის“.**

## კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

(30 მარტის სხდომა)

გრძელდება კამათი პარტიის ბოლშევიზაციის შესახებ. ამ საკითხის გარშემო ილაპარაკეს პეპპერმა, კენენმა, კუუსი-ნენმა, პოდვოისკიმ, კრეიაიხმა ნეიროტმა და კლარა ცეტ-კინმა.

## ფინეთის ახალი კაბინეტი.

მთავრობის კრიზისი ფინეთში მოგვარებულია. 30 მარტს დამტკიცებულ იქნა ახალი კაბინეტი, რომელიც შედგება აგ-რარიებიდან და კოალიციონურ პარტიებიდან.

## შიმშილობა დასავლეთ ირლან-დიაში.

მოუსავლიანობის გამო დასავლეთ ირლანდიაში დაიღუ-პა რქოსანი საქონლის 80 პროც. მცხოვრებლები შიმში-ლობენ; იკვებებიან ფოთლებისა და ბალახის ნახარშით. მო-სალოდნელია შავი ჭირი.

საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოება შეუდგა დახმარების მიწოდებას დამშეულებზე.

## იაპონიის საარჩევნო კანონი.

იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი საერთო საარჩევ-ნო უფლების შესახებ, რომლის თანახმად 25 წლის მიღწეუ-ლი ყოველი მამაკაცი ღებულობს ხმის მიცემის უფლებას, ხოლო 30 წლის მამაკაცი—უფლებას თვით იქნას არჩეული ქვემო-პალატაში.

# უჯრედების მდივანთა და აგიტ-პროპ-მომუშავეთა თათბირი.

## თათბირის გახსნა.

30 მარტს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გაიხსნა ასეულის უჯრედებისა და აგიტპროპ-მომუშავეთა საარმიო თათბირი. არმიის ნაწილებიდან თათბირს დაესწრო 192 წარმომადგენელი.

## ამხ. რატნეკის სიტყვა.

თათბირს ხსნის ამხ. რატნეკი და აღნიშნავს იმ მძიმე დანაკლისს, რომელიც განიცადა საბჭოთა კავშირმა და კომპარტიამ სულ მოკლე ხანში ამხ. ამხ. ნარიმანოვის, მიასნიკოვის, ათარბეგოვის, ვლადიმიროვის და მარხლევსკის დაკარგვით.

შემდეგ ამხ. რატნეკი ლაპარაკობს სუნ-იატ-სენზე, რომლის სახით აღმოსავლეთმა და კერძოდ ჩინეთმა დაჰკარგა დიდი, მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლიუციონერი.

შემდეგ ამხ. რატნეკი ეხება არმიის თათბირის მოწვევას და ამბობს:

— ჩვენი არმიის ძირა, მომუშავეთა თათბირი წარმოადგენს პირველ თათბირს და მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი არმიის ცხოვრებაში.

ჩვენი თათბირი მოწმობს იმას, რომ ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ძირა პარტ-ორგანიზაციების მუშაობას. ჩვენ მთელ ყურადღებას ვაქცევთ დღეს უჯრედს, რომელიც ახლოს სდგას ათასსა და მილიონ უპარტიო მასებთან.

ეს არის მთელი ჩვენი პარტიის კურსი. ეხლახან ჩატარდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან სოფლის, მუშათა და სხვა უჯრედების თათბირთა მთელი რიგი.

ეს მუშაობა მიმართულია იქეთ, რათა განმტკიცებულ იქნას ძირა პარტორგანიზაციის მუშაობა, ბოლშევიკურად გამოიჯგვოს ის და გავრცელდეს ჩვენი პარტიის გავლენა მუშების და გლეხების ფართე მასებზე.

ჩვენი თათბირი ეხება ჩვენი არმიის აღმშენებლობისა და პარტიული ცხოვრების უმთავრეს საკითხებს.

მთელი ჩვენი მუშაობა უნდა ჩატარდეს ჩვენი პარტიული რიგებისა და წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერების ლოზუნგით.

ჩვენ ვიზრდებით და ვძლიერდებით, მაგრამ ძლიერდება გარეთვე მსოფლიო კაპიტალიც.

ის ამოცანები, რომლებსაც გვიკარნახებენ ჩვენი პარტიის პოლიტიკა და საერთაშორისო მდგომარეობა, პირველ რიგში მოითხოვენ ჩვენგან და ძირა პარტორგანიზაციებიდან ხანგრძლივ, შეუდრეკ შრომას.

მთელი ჩვენი მუშაობა უნდა გაღრმავდეს და თვისებრივად გაუმჯობესდეს.

ჩვენ უნდა დავადოთ ყური მიწას და მოვუსმინოთ თუ რით სუნთქავს ჩვენი შავი მიწა, ჩვენი გლეხური მასა.

თათბირის საკითხების გადაჭრას ჩვენ უნდა მიუდგეთ, როგორც პარტიის წევრები, როგორც შეუდრეკი კომუნისტები.

პოლიტსამმართველო უსურვებს თათბირს ნაყოფიერ მუშაობას.

თათბირი ირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, რატნეკი, კრუგლიკოვი, სტელმახი, სნეგირევი, სუტირინი და წარმომადგენლები ადგილებიდან.

შემდეგ თათბირი ირჩევს საპატიო პრეზიდიუმში ამხ. ამხ. სტალინს, ზინოვიევს, კამენევს, ფრუნზესა და სხვებს.

თათბირი ღებულობს დღის წესრიგს. პირველ რიგში მოსმენილ იქნება მოხსენებები ადგილებიდან.

„კრ. ვ."

# ერთი საყურადღებო გამოფენა.

ამ რამოდენიმე დღის წინათ ტფილისში გაიხსნა საქართველოს სასოფლო საწარმოო კოოპერატივთა კავშირის (წარმოკავშირის) ყრილობა.

ყრილობისათვის, წარმოკავშირს მოუწყვია ფრიად საყურადღებო გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია წარმოკავშირის საქმიანობის მთლიანი სურათი: რას აკეთებს წარმოკავშირი სოფლათ, როგორ დონეზე დგას ჩვენი სასოფლო მეურნეობა, როგორი გაუმჯობესება შეაქვს წარმოკავშირს ამ სასოფლო მეურნეობაში და სხვა.

გამოფენა დაყოფილია განყოფილებებათ და ქვე განყოფილებებათ. ასე მაგალითად არის ნედლეულობის განყოფილება, მომარაგების განყოფილება, თამბაქოს სექცია, მევენახეობის, მერძეობის, სამკურნალო მცენარეულობის, მელვინეობის, მეხილეობის განყოფილებები და სხვა.

გამოფენაზე მოტანილია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები. არის ჩალის საჭრელი მანქანა, მატყლის საჩეჩი, პურის საწმენდი, სიმინდის სარჩევი, წიწილების ხელოვნურათ გამოსაჩეკი მანქანა და სხვა.

ნედლეულობა დახარისხებულია. ძლიერ მდიდრათაა წარმოდგენილი თამბაქოს წარმოება, მატყლის წარმოება, მერძეველობა და მებაღეობა. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს გამოფენაზე მოწყობილი ცოცხალი ბოსტანი, სადაც ხარობს სხვა და სხვა მწვანილეულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენის დირექცია საშუალებას აძლევს წითელარმიელებს დაათვალიერონ გამოფენა უფასოთ, სადაც გამოფენაზე ახსნა განმარტებას მისცემთ მათ წარმოკავშირის სპეციალისტები. საჭიროა მხოლოთ რომ შეიკრიბონ დაინტერესებულ წითელ-არმიელთა ჯგუფები და ამის შესახებ შეატყობინონ გამოფენის ხელმძღვანელებს. კარგი იქნება ამის შესახებ გადასდგამდეს სათანადო ნაბიჯებს შესაფერი ორგანო, რასაც დიდი აღმზრდელობითი და სააგიტაციო მნიშვნელობა ექნებათ ფარაჯაში გადაცმულ გლეხის შვილებისათვის.

გამოფენა ღიაა დღის 1-ლი საათიდან 3 საათამდე და გაგრძელდება კიდევ რამოდენიმე დღე.

გამოფენა მოთავსებულია მუშათა სასახლეში (პროფკავშირების შენობა) შესავალი რუსთაველის პროსპექტიდან.

დ.

# უმუშევართა მნიშვნელოვანი დემონსტრაცია ინგლისში.

ლონდონში მოხდა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია, რომელსაც მეთაურობდენ პარლამენტის რამოდენიმე წევრი, მათ რიცხვში საკლათვალაც.

უმუშევართა დეპუტაცია მივიდა შრომის მინისტრთან, რომელმაც განაცხადა, რომ თუ რომ უმუშევრობა არ შემცირდება, ოქტომბერში, ის შეიტანს შესწორებას უმუშევართა დაზღვევის კანონში. დემონსტრაციის მონაწილეებმა გადასწყვიტეს გააძლიერონ აგიტაცია და აიძულონ მთავრობას მიიღოს ზომები უმუშევრობის წინააღმდეგ.

# მემამულეთა პოლონეთში.

## სიკვდილით დასჯა აგიტაციისათვის

კრაკოვის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ჯარისკაც სეგალს სიკვდილით დასჯა ჯარში კომუნისტური პროპაგანდის გაწევისათვის.

## პოლონელ მოჯამაგირეთა საერთო გაფიცვები.

პოლონეთში გამოცხადდა მოჯამაგირეთა საერთო გაფიცვები.

გაფიცვები მოედო უკვე 19 მაზრას. სახალხო პარტია გაფიცულთა მხარეზეა.

# 29 მარტისათვის დანიშნული სამხედროთა თათბირი

## გადადებულია 5 აპრილისათვის დილის 10 საათზე.

პ. გ. სამხედროთა, პარტკომთა და ახკომკავშირთა დასწრება სავალდებულოა.

რედაქცია.

# რევოლიუციონური ჩინეთი და სუნ-იატ-სენი.

(გაგრძელება)

**იმპერიალისტების დასაყრდნობი ძალები ჩინეთში.**

ამ უკანასკნელ წლეების სამოქალაქო ომი ჩინეთში სწორეთ ამ მისწრაფებით იყო გამოწვეული. იაპონია ლამობს ჩაიგდოს ხელში მანჯურია, სადაც ბლომათ არის რკინის მადანი, რომლის მარაგი აღემატება დანარჩენ ჩინეთის მთელ მარაგს.

ამ უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს რომ აქ ჩინეთში, ფინტიანის პროვინციაში ადგილი აქვს დაბალ ხარისხოვან მაგნიტის რკინას (Низкопроцентный магнитный железняк.) იმ რაოდენობით, როგორც ის მოიპოვება შეერთებულ შტატებში. ამ რკინის მადანის ექსპლოატაციის აწარმოებს სამხრეთ მანჯურიის რკინის გზები, რომელმაც აქ ააშენა რამოდენიმე ქარხანა და რომელიც ეკუთვნის იაპონიას რკინის გზებრთვე.

დანარჩენი პროვინციები, რომელნიც, შარშან, 1924 წელს, გახვეული იყვნენ სამოქალაქო ომში, მდიდარი არიან სხვა და სხვა მადნეულობით, ქვანახშირის ანტრაციტით, რკინით. ამ გარემოებამ გამოიწვია იაპონიის და ინგლისს-ამერიკის ინტერესების დაპირისპირება და შეჯახება.

იაპონიას სურს ჩაიგდოს ხელში ჩინეთის სიმდიდრე და ესევე სურს ინგლისს და ამერიკას. როგორც ერთს ისე მეორეს ყავს თავისი მომხრეები თვით ჩინეთის ბურჟუაზიულ და სამხედრო წრეებში. იაპონიას მხარს უჭერს და იაპონიის პოლიტიკის გამტარებელია მანჯურიის გენერალი მმართველი ჩან-ძო-ლინი. ამერიკას კი — მხარს უჭერდა გენერალი-უ-პეი-ფუ. ამ ორ უმთავრეს ძალთა შორის 1924 წელს მოხდა შეტაკება. გენერალ ჩან-ძო-ლინს ხელდა გამარჯვება და დამარცხდა ინგლისის ამერიკის მომხრე გენერალი. ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისს-ამერიკა ამ გარემოებას არ შეურიგდება და კვლავ განაგრძობს ბრძოლას. რასაკვირველია ყოველივე ეს თავზე უბედურებათ ატყდება ჩინეთის გლეხკაცობას და მუშებს, რომლებსაც არ სურს მუდმივ სხვის ინტერესებს ემსახურებოდეს.

**სამხრეთ ჩინეთის რესპუბლიკა**

განსაკუთრებით დიდ ბრძოლის უნარს იჩენს საერთოთ იმპერიალისტების წინააღმდეგ ჩინეთის სამხრეთი ნაწილი.— ტუნდუნის პროვინცია, რომლის სივრცე უდრის 100 ათას კვადრატ. მილს 37 მილიონ მცხოვრებით.

ამ პროვინციას—სამხრეთ ჩინეთის რესპუბლიკას აქვს საუკეთესო ნავთსადგურები, როგორიც არის **კანტონი,** დედა ქალაქი სუნ იატ-სენისა, სვატაულაპა, პანხლეა და სხვა. ამ პროვინციას აქვს 200 მილ. ტონი მარაგი ანტრაციტისა და სხვა აუარებელი სიმდიდრე. ამ პროვინციის და მისი ნავთსადგურების საშუალებით სწარმოებს უმთავრესად ვაჭრობა ჩინეთისა ევროპასთან და ევროპისა ჩინეთში.

გუანდუნის პროვინციის სამხრეთ ჩინეთის რესპუბლიკა სუნ-იატ-სენისა, შარშანდელ სამოქალაქო ომის დროს არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს მხარს არ უჭერდა. მას თავის გარკვეული გზა ქონდა.

აქ ყველაზე უფრო განვითარებულია ნაციონალური ჩინეთის ბურჟუაზია. აქ ბლომათ არის პროლეტარიატი ამიტომ შეგნებას დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისას მონობისაგან უფრო მეტი ადგილი აქვს.

სამხრეთ ჩინეთის რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს აქვს თავისი საკუთარი პროგრამა, რომელიც გამოიხატება მილიტარიზმის დამარცხებაში, უცხო კაპიტალის განდევნაში და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებაში, სოციალიზმის განხორციელების მიზნათ დასახვით. რასაკვირველია ეს პროგრამა დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ჩინეთის მილიტარისტების მიზნებს და სურვილებს.

ამიტომ იყო, რომ შარშან სამოქალაქო ომის დროს, ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა მოისურვეს სუნ-იატ-სენის რესპუბლიკის დამარცხება და მისი დამორჩილება. მაშინ ინგლისის მთავრობამ მაკდონალდის მეთაურობით მოაწყო, ეგრედ წოდებული, ჩინური ფაშისტური ორგანიზაციის „ქალაქის ვეფხვების" გამოსვლა სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ. მაკდონალდის მთავრობა ამ ორგანიზაციას აწვდიდა იარაღს, აგრეთვე ამერიკა—ინგლისის იმპერიალისტებმა სუნ-იატ-სენს მიუსიეს მისი პარტიის ყოფილი წევრი გენერალი ჩენ-დიუ-მინი სუნ-იატ-სენმა ამ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა, ვინაიდან მას მხარს უჭერდა ჩინეთის ახალგაზრდა რევოლიუც. ინტელიგენცია, მუშათა კლასი, გლეხობა. რესპუბლიკის დიდი უმრავლესობა „ქალაქის ვეფხვების" გამოსვლა მან დაამარცხა 1924 წ. და ამა წლის თებერვალში მან განდევნა გუანდუნის პროვინციიდან გენერალი ჩენდიუმინი. ამ რიგათ დღეს მთელ გუანდუნის პროვინციას, სადაც სცხოვრობს 37 მილ. ხალხი, ხელმძღვანელობს სუნ-იატ-სენის შექმნილი პარტია-გომინდანი.

ჩინეთის ხალხის სრული განთავისუფლების საქმეს სამუდამოთ ჩაეყარა ურყევი საძირკველი. სამხრეთიდან, სუნიატ-სენის სამშობლოდან, უნდა წავიდეს და კიდევაც წავა რევოლიუციონურ ტალღა, რომელიც შთანთქავს საერთაშორისო იმპერიალიზმს, როგორც შუა ისე სამხრეთ ჩინეთშიც.

**ჩინეთის ხალხის ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ.**

როგორც უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ, პირველათ ჩინეთში შეიჭრა ინგლისი, რომლის ფლოტიც დაეჯახა ჩინეთის ნაპირებს 1839 წ. დაიწყო ომი. ამ ომს სახელათ დაერთქვა „ბანკის ოპიუმი ომი" ვინაიდან ომის საბაბათ შეიქნა უარი ჩინეთის მთავრობისა, რათა თავისუფლათ შემოეტანა ინგლისის მთავრობას ჩინეთში ოპიუმი. სამი წლის ბრძოლის შემდეგ ჩინეთი სასტიკათ დამარცხდა. ინგლისის ხელში გადავიდა ჩინეთის სანავთსადგურო ქალაქი გონ-კონგი; ბრიტანეთის კაპიტალისტებს ნება მიეცათ თავისუფალი ვაჭრობისა შემდეგ ქალაქებში: კანტონში, ამოისში, ფუჩეოუში, ნიმბოში და დღევანდელ ცნობილ სანავთსადგურო ქალაქში შანხაიში.

აგრეთვე ჩინეთის მთავრობა იძულებული გახდა მიეცა ინგლისის მთავრობისათვის კონტრიბუცია. როდესაც საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა დაინახეს სისუსტე ჩინეთისა, მათაც მალა გაეხსნათ 1846 საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა ამერიკისამ ჩინეთში ინგლისთან ერთად თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიიღეს.

1856 წელს ჩინეთში მოხდა ტიპინგთა გლეხური—აჯანყება მანჯურიის დინასტიის წინააღმდეგ. ინგლისელებმა სასტიკი ზომებით ჩააქვრეს იგი; დაღვარეს უმანკო სისხლი ჩინეთის გლეხკაცობისა და ხელში ჩაიგდეს ფრანგებთან ერთათ საუკეთესო საწარმოო დედაქალაქი კანტონი. ამავე წელს ინგლისსაფრანგეთმა ხელშეკრულება დასდვეს რომლის ძალით ჩინეთი მიწასთან გათანასწორებული იქნა, შეურაცხყოფასა და დამცირებას საზღვარი არ ქონდა.

ინგლისს-საფრანგეთმა უფლება მიიღო უცხოელებისათვის, ეგრედ წოდებული, ექსტერიტორიალობისა ე. ი. არც ერთი უცხოელი ჩინეთის მთავრობის არც ერთ კანონს არ ემორჩილება.

ამავე პრინციპის მიხედვით ინგლისს-საფრანგეთ—ამერიკის მთავრობებმა მიიღეს უფლება ჩინეთის დიდ ქალაქებში, ქალაქის ერთი ნაწილის შემოღობვის,—ქალაქში ქალაქის გაშენების, სადაც ჩინელს შესვლის უფლება არ აქვს.

ამავე ხელშეკრულობის ძალით მდინარე იანც-ზიც-ზიან, ეს უმთავრესი არტერია (ძარღვი) ჩინეთის შინა ვაჭრობისა, იხსნება ინგლისის ვაჭრობისათვის, გადადის ინგლისელების ხელში.

1858 წლის ხელშეკრულების მეცხრე მუხლის მიხედვით ინგლისის ხელში უნდა გადასულიყო კიდევ 8 ნავთსადგურიანი ქალაქი. ამ გარემოებამ დიდი აღელვება გამოიწვია ჩინეთის მასებს შორის. მათ აიძულეს მთავრობა უარი განეცხადებია მის რატიფიკაციაზე. ამის გამო ინგლისმა იარაღით შეუტია ჩინეთს. ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში, მდინარე ტეიხოს სიმაგრეები.

25 აგვისტოს 1860 წელს ინგლისელებმა დაიკავეს ტიანცზინი და ტაკუ (ქალაქებია) და აქედან შეუტიეს პეკინს, ჩინეთის მთავრობამ რატიფიკაცია უყო ხელშეკრულობას. ინგლისმა ჩაიგდო ხელში გოულდანის პროვინცია და დაადო პეკინის მთავრობას დიდი კონტრიბუცია.

(შემდეგ იქნება.)

არ. კვირიკაძე.

3 ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება.

## გამსინჯავ კომისიის მუშაობიდან

თითქმის თვეზე მეტია, რაც გამსინჯველ კომისიებმა დაიწყეს მუშაობა, როგორც სამოქალაქო აგრეთვე სამხედრო პარტორგანიზაციებში. კომისია თანახმად დირექტივებისა ატარებს თავის მუშაობას და არკვევს უჯრედის მუშაობის უარყოფითი და დადებითი მხარეებს. ის დაწვრილებით ეცნობა ყველა უჯრედების წევრების მუშაობას, როგორც უჯრედში აგრეთვე მის სოციალურ მდგომარეობას. ამას გარდა ეცნობა თუ როგორი პიროვნებაა ესა თუ ის უჯრედის წევრი, რა მონაწილეობა აქვს მიღებული საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის აშენებლობაში და რისი გაკეთება შეუძლია მას შემდეგში. ერთი სიტყვით, კომისია ცდილობს იქონიოს სრული წარმოდგენა ამა თუ იმ წევრზე, რის შემდეგ ადგენს თავის დასკვნას.

არის შემთხვევა როდესაც გასასინჯ პირთან საუბრის დროს წამოიჭრება პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის საკითხები და ამის ირგლივაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამ დროს კომისია აქცევს ყურადღებას გასასინჯავ ამხანაგის პოლიტიკურ მომზადებას. ასეთი კითხვები უფრო ეხებიან ისეთ ამხანაგებს, რომლებსაც ჯერ კიდევ კავშირი აქვთ სოფელთან, საშვალო ცოდნის ინტელიგენტებს და საზოგადოთ უმთავრესათ არა წმინდა პროლეტარულ შემადგენლობას.

ამ მუშაობის 1-ლი პარტის გადასინჯვას, როგორც ვიცით მიზნათ არ აქვს დასახული პარტიიდგან რომ გააძევოს ვინმე, არამედ მისი მიზანია შეისწავლოს უჯრედის მუშაობის უნარიანობა, მისი აქტივობა და უარყოფითი მხარეები, რის შემდეგ კომისიას საშვალება ეძლევა წარმოდგენა იქონიოს უჯრედის მუშაობაზედ და მიუთითოს ორგანიზაციის ყველა შეცთომებზედ, რაც შემდეგში გამოსწორებული იქნება. კომისია უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს პარტიიდგან გაძევების საშვალებას, მაშინ თუ მართლა წამოყენებული ბრალდებები დამტკიცდა და თუ გამოირკვა, რომ ის უვარგისია პარტიისათვის.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ზოგიერთი უარყოფითი მხარეები უჯრედის მუშაობის, რომელიც შემჩნეულია როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციებში. ეს შეეხება სამხედრო უჯრედებს. გასინჯვის დროს კომისიამ აღნიშნა, რომ უჯრედების წევრების მხრივ, ნაკლები აქტივობა ემჩნეოდა საერთო კრების დროს, სადაც ბიურო აკეთებდა თავიანთი მუშაობის შესახებ მოხსენებებს, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამით კომისიას საშუალება ესპობა მთლიანათ შეაფასოს უჯრედის მუშაობის ნაყოფიერება.

მეორე, კომისიის მუშაობის დროს ერთი რომ ხმაურობას ქონდა ადგილი და მესამე ის, რომ გასასინჯავი ამხანაგები უკითხავად გარბოდენ სადღაც.

მომზადების მხრივ გამოირკვა რომ ზოგიერთი უჯრედის წევრები, როგორც სამოქალაქოსი აგრეთვე სამხედროსი, ნაკლებათ კითხულობენ გაზეთებს და ამ რიგად სრულიად არ არიან გაცნობილი საერთო პოლიტიკურ ვითარებასთან.

ქალაქის უჯრედის წევრები იმით იმართლებენ თავს, თითქოს ძალიან ბევრს მუშაობენ და გაზეთის წაკითხვას ვერ ასწრებენ.

სამხედროში კი თითქოს ბევრი გაკვეთილები ქონდეთ მიცემული.

ასეთი საბუთებით კომისია ვერ დაკმაყოფილდება, რადგან მისთვის წარმოუდგენელია, რომ კომუნისტმა კითხვა კარგი იცის, მოკლე ხანში სხვისი აღმზრდელად უნდა გამოვიდეს, მასთან გაზეთი სამკითხველოში არის და ის მას არ კითხულობდეს.

ვფიქრობთ, ასეთი კომუნისტი ბევრს ვერაფერს ასწავლის სხვას.

ამას გარდა ზოგიერთები სრულიად არ არიან გაცნობილი, მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებასთან. მაგ. არ იციან თუ რა არის „ხალიფატი“ აგრეთვე სიტყვა „ფაშა“ გონიათ „ფაშისტი“.

ასეთი უმეცრება ყოვლად დაუშვებელია. ერთი სიტყვით პარტიის წევრების პოლიტიკურ განვითარებას და მომზადებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც უჯრედების მხრივ, ისე თვით პარტიულებმაც უნდა იზრუნონ ამ მხრივ თავის თავზე.

**ს. ლომიძე.**




# თბილისში მდგომ ნაწილების საყურადღებოთ.

## 1-ლ აპრილიდან გაზეთები მოიკითხეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციაში.

## გულმოდგინეთ მუშაობენ.

2-რე ქართულ ლეგიონში დაარსებულია, უნცროს მეთაურთა სკოლა. კურსანტების საჭირო რაოდენობა უკვე არის სკოლაში. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ლეგ. სკოლის მეთაურები თავს არ ზოგავენ. მათ დიდი სურვილი აქვთ, ისეთი უნცროსი მეთაურები ჩააბარონ ლეგიონს, რომლებიც შესძლებენ შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიონ მომავალ ახალგაზრდობას. კურსანტებიც ენერგიულად მეცადინეობენ და გულმოდგინეთ ასრულებენ ყოველგვარ განკარგულებებს.

სამხედრო **ხაჭაპურიძე.**

## მოგვეცით აბანო.

**ქუთაისის გარნიზონის სან. ნაწილის საყურადღებოთ.**

როგორც მესამე ლეგიონის წითელ მოლაშქრეებს, ისე დანარჩენ ქუთაისში მდგომ ნაწილებს თავის დროზე არა აქვთ აბანო, რაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაში გვაგდებს. აბანოს უქონლობის გამო წითელ არმიელებს გაუსუფთავებლად უხდებათ საცვლების გამოცვლა.

ვისი ბრალია, რომ ყურადღება არ გვექცევა? ჩვენ გავიგეთ, რომ კომხოზი თითეულ კაცზე თხოულობს აბანოში 6 კაპეიკს, თქვენ კი ოთხს კაპ. აძლევთ. ამ ვაჭრობაში უაბანოდ ვრჩებით. საჭიროა მოსპობდეთ ვაჭრობას. ამდენხანს უაბანოთ ყოფნა დაუშვებელია. უკვე ერთი თვე გავიდა რაც მესამე ლეგიონის არმიელები აბანოში არ ყოფილან. არც ისმის რამე, რომ ჩქარა წაგვიყვანებენ აბანოში.

მოგვეცით აბანო.

პარტკორი **ტატიანელი.**

## ახკომკავშირელთა შორის

## არტლეგიონის კომკავშირის ცხოვრებიდან.

ოქტომბერში, საარტილერიო ლეგიონში მოსულ ახალ-წვეულებს შორის ბევრი იყვენ ახ. კ. კავშირის წევრები. ამან გამოიწვია არტ-ლეგიონის ყველა ბატარეებში ახ. კ. კავშირის ჯგუფების დაარსება. ბატარეიებში გამოყოფილი იქნა ამ ჯგუფების ორგანიზატორები, სათანადო ხელმძღვანელობის გასაწევად.

პირველ ხანებში, მუშაობა ვერ იდგა სასურველ ნიადაგზე, რადგანაც ორგანიზატორებს არ ჰქონდათ სათანადო სახელმძღვანელო ინსტრუქციები და უმთავრესი ის იყო, რომ ახლად მოსულ წითელ-არმიელებს სრულიად ეუცხოვათ ყაზარმული ცხოვრება, რაც მათთვის ჯერ კიდევ ახალი იყო. კრებებს არ ესწრებოდენ სისტემატიურად და არც მეცადინეობდენ. მაგრამ რამდენადაც დრო გავიდა, წითელ-არმიელები (მათ შორის ახ. კ. კავშირის წევრებიც) ყაზარმულ ცხოვრებას იმდენათ უფრო შეეჩვიენ და ყველა ეს დეფექტები თანდათან განიდევნა ახკომკავშირელთა რიგებიდან.

დღეს მეცადინეობა ჯგუფებში სისტემატიურად მიმდინარეობს. ყოველ კვირაში ერთხელ ხდება ლეგიონში ახ. კ. კავშირის გაერთიანებული კრება.

გაერთიანებულ კრებებს ხშირად ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელები, და დიდის ყურადღებით ისმენენ მოხსენებებს. ბატარეების ყველა ჯგუფებს კავშირი აქვთ სამოქალაქო ახ. კ. კავშირის უჯრედებთან.

არტ-ლეგიონის ახ. კ. კავშირის გაერთიანებულ კრებებს ხშირათ ესწრებიან წარმომადგენლები სამოქალაქო უჯრედებიდან. ასევე ხდება ჩვენი მხრიდანაც, რაც ხელს უწყობს წითელ-არმიელების და მუშების ურთიერთ დაახლოების განმტკიცებას.

ამნაირად კავშირის საქმიანობა გამოცოცხლდა ლეგიონში. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ახ. კ. კავშირის მე-4-ხე რაიკომი დიდ უყურადღებობას იჩენს ჩვენდამი. მათი წარმომადგენელი თითქმის ყველა ჩვენს გაერთიანებულ კრებებს უნდა ესწრებოდეს, მაგრამ არა თუ ესწრებიან, არამედ არც თეზისებს გვიგზავნიან რომელიმე დღესასწაულის ჩასატარებლად. საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება.

ახკორი **ბ. ცაგარეიშვილი**

## ჩვენი ახ. ლ. კ. კ. მუშაობა.

1-ლ. ქარ. მსროლელ 1-ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის ახ. ლ. კ. კ. ორგანიზაციის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

ყველა ამხანაგები ცდილობენ სამხედრო ცოდნასთან, ერთად შეიძინონ პოლიტიკური ცოდნაც. კრებები სისტემატიურათ მიმდინარეობს ყოველ კვირაში ერთხელ პარტიის ორგანიზაციებთან ერთად. ამხანაგები დიდი ყურადღებით უსმენენ მომხსენებლებს, ღებულობენ მონაწილეობას შეკითხვებში, მონაწილეობენ ამა თუ იმ საკითხების ფართედ გაშუქებაში და სხვა.

მომზადებული ამხანაგები ცდილობენ დააინტერესონ ყველა წითელი არმიელები და ჩააბან ისინი პოლიტიკურ ცოდნის ფერხულში. წითელი არმიელებიც ცდილობენ შეიძინონ ცოდნა პოლიტიკურ მეცადინეობაში.

ამ ჟამად ჩვენს ა. ხ. კ. კ. ორგანიზაციაში ითვლება 30 ამხანაგი. უპარტიოები ბევრი აცხადებს სურვილს კავშირში შემოსვლის შესახებ. ანკეტები უკვე დაურიგეთ.

მომავალ კრებაზე ეს ამხანაგები ალბად დამტკიცებული იქნებიან სკოლის უჯრედის მიერ ახ. ლ. კ. კ. კანდიდატებათ.

**წ. ა. გ ჩიტაიშვილი.**

## წითელ მეთაურ ჭოხონელიძის ხსოვნას.

ოცდა სამ მარტს მეორე ლეგიონის წითელ მეთაურები და პოლიტ შემადგენლობა ბათუმის საზარგო სადგურზე უკანასკნელათ გამოვეთხოვეთ ძვირფას ამხანაგის იასონ ჭოხონელიძის ცხედარს.

ამხ. იასონი იყო დაუღალავი მუშაკი, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. მან ადრე შეიგნო წითელი ჯარის მნიშვნელობა, და შეიძინა სამხედრო ცოდნა უფროს მეთაურთა სკოლაში. ამხ. სურდა ეს ცოდნა გადაეცა მის მოძმე წითელ-არმიელებისათვის. სამწუხაროთ მან ამ მიზანს ვერ მიაღწია და სკოლის დამთავრების შემდეგ, დასნეულდა მძიმე ავადმყოფობით, რომელმაც იმსხვერპლა.

ჩვენ მეორე ქართულ მსროლელ ლეგიონის წითელ მეთაურები ფიცს ვსდებთ ამხანაგის ხსოვნის წინაშე, რომ მის საყვარელ საქმეს ერთგულად ვემსახურებით სიკვდილამდე.

წითელ მეთაურთა მინდობილობით:

**ი. წილოსანი.**

## წითელ საკავშიროელებში.

პირველი ლეგიონის საკავშირო გუნდში სისტემატიურ ხასიათს ღებულობს ყოველგვარი მეცადინეობა. პოლიტსაათებს—რომლითაც ასე არიან დაინტერესებული არმიელები, ხელმძღვანელობს ამხ. შონია.

გადმოცემა ძლიერ კარგი აქვს ამხანაგს, მაგრამ სამწუხაროთ ამ მეცადინეობას თითო საათის მეტი არა აქვს დღეში დათმობილი.

დიდი ყურადღება ექცევა გუნდში სპეციალ. სამხედრო მეცადინეობას. ჩვენთან ამ დარგის შესასწავლად მოვლენილი არიან ლეგსკოლიდან რამოდენიმე კურსანტი. მათ ძლიერ აინტერესებთ კავშირის საქმე და ერთ წუთსაც ვერ დაინახავთ ტყვილა გაჩერებულს.

გუნდში დროებით შეჩერებულია დრამწრის მუშაობა. კარგი იქნებოდა ამხ. კლუბის გამგე გაგვიწევდეს დახმარებას და მოგვაწოდებდეს სხვა და სხვა პიესებს, რომ შევსძლოთ საღამოების მოწყობა.

სამხკორი **ხუტა.**

## ჭირში და ლხინში ჩვენთან არიან.

მარტის შუა რიცხვი იყო. ჩასასვლელად გამზადებული მზე ხანტათ უშვებდა თავის ოქროსფერ სხივებს. არტლეგიონის კურსანტები და წითელ არმიელები ყაზარმის ეზოს მოჭფენოდენ. ზოგი მღეროდა, ზოგი რადიოზე კამათობდენ და სხვა.

უცებ გაისმა „ჩაგუნ“. ორი წითელ არმიელი შებზიალდენ. შეიკრა წრე. გახურებულმა „ჩაგუნამ“ ერთბაშად მოიუყარა თავი ეზოში ჯგუფ ჯგუფად გაბნეულ არმიელებს და ყველა ინტერისეთ შესცქეროდენ მოთამაშე არმიელებს. არც კი გაეთავებიათ ამ ამხანაგებს ცეკვა, რომ არტსკოლის უფროსის თანაშემწე ამხ. ტუხარელი სირბილით მოვარდა წრესთან, გასწყვიტა ის, შევარდა წრეში და ჩაუცეკვა ერთ არმიელს. გახურდა ჩქარი ტაში. წითელ არმიელებმა აღარ იციოდენ, როგორ ეცათ პატივი თავისი მეთაურისათვის.

თამაშის გათავების შემდეგ, თითქმის ყველა არმიელები გაიძახოდენ: „მეთაურიც ასეთი უნდა. შეხედეთ ბიჭებო როგორ არ თაკილობდა ჩვენთან თამაშს“?

ჩვენ თამამად შეგვიძლია, უთხრად ჩვენს მშობლებს სოფელში დაბრუნებისას, რომ მეთაურები ჩვენთან იყვენ ჭირში და ლხინშიც. ჩვენთან ერთად „ჩაგუნასაც“ კი თამაშობდენ თქო.

სამხკორი **ს. ძიროვნელი.**

## ჩვენს ცენტრკლუბში.

30 მარტს ქართულ დივიზიის კლუბში ჯანსახკომის „სანიტგანათლების დრამწრემ“ თბილისის გარნიზონის წითელ არმიელებისათვის დასდგა სამმოქმედებიანი სანიტარული კომედია: „ვენერიოლოგის კაბინეტში“.

წარმოდგენას დაესწრენ ქართულ ნაწილების წითელ არმიელები, მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა და მრავალი სხვა მოქალაქენი.

პიესას არა უშავს რა, მაგრამ სავსეა ვულგარული სურათებით და სიტყვებით, კარგი იქნება შემდეგისათვის შეასწოროს ავტორი.

პიესა მხიარულად იქნა ჩატარებული, ახალგაზრდა მოთამაშეებმა მშვენივრად შეასრულეს თავისი როლები.

საჭიროა კლუბის გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს ერთ გარემოებას:

საღამოს დაესწრენ 9—10 წლის ბავშვები, რაც ყოვლად მიუღებელია.

საღამო გათავდა ადრე.

ჯანსახკომის სანიტგანათლების გამგეობა მადლობის ღირსია ასეთი უფასო და სასარგებლო საღამოების მოწყობისათვის.

**ს—ნ.**

# სამხედრო ტრიბუნალო, საჭიროა შენი ავტორიტეტული სიტყვა.

1-ლ მსროლელ ლეგიონის 1924 წ. დამლევს 1-ლ ასეულში მწყობრის თავის თანამდებობაზე დანიშნული იქნა კოკოევი. ასეულში არაფერს აკეთებდა და იძახდა—მე ქართული მეჭირს, ოსი ვარ,—ამის გამო ასის თავმა ის გაგზავნა ხიდებზე ყარაულის უფროსათ. არ გასულა ერთი კვირა მის შემდეგ დანიშვნისა ხიდებზე, რომ ლეგიონის უფროსთან გამოცხადდენ ორი ქალი, რომლებმაც შესჩივლეს კოკოევზე ბეჭედი წაგვართვაო და სხვა.

კოკოევის დაბრუნების შემდეგ ხიდებიდან, ის დაიბარა ლეგიონის თავმა და გამოჰკითხა ამის შესახებ. მან თავი გაიმართლა იმით, რომ უნებურად გამომყვაო და როდესაც ჩავიდი მიუტანო.

ხიდებიდან კოკოევი გადაყვანილი იქნა მეორე ლეგიონში—ქ. ბათომში, რომლის შემდეგ მე შემთხვევით ყური მოვკარი მეორე ასეულის წ.-არმიელების ლაპარაკს: „წავიდა და წაიღოვო“. მე დამაინტერესა ყურ ნაკრელმა ჩივილმა და გამოვკითხე მათ, საიდანაც გამოირკვა: კოკოევს გამოურთმევია მე-2-ე ასეულის წ.-არმ. გოცირიძესათვის საათი (ათ მანეთად ღირებული) ამავე ასეულის წ.-არმ. სოფრომაძისათვის ყაბალახი, ფერაძისათვის დანა (80 კაპ. ღირებული) და თარხნიშვილისთვის 2 მანეთი, ხიდებზე ყოფნის დროს და უკან კი აღარ დაუბრუნებია ეს ნივთები.

ზემო მოხსენებულ წ.-მოლაშქრეებს არ სცოდნებიათ მისი გადაყვანა და არც იციან ვის მიმართონ.

საჭირო არის ასეთი მეთაური მიეცეს პასუხისგებაში, როგორც სხვისი ქონების და იგიც წითელ-არმიელების—მოთვისებელი.

ის ღირსი არ არის ჩვენს რიგებში ყოფნისა.

ქარჩხაველი.

# სამხედრო პოლიტიკურ სკოლის ცხოვრებიდან.

ვეხმარებით გლეხებს.

გასული წლის ზაფხულში, ბანაკად ყოფნის დროს ჩვენმა სკოლამ აიღო შეფობა სოფ. ცოცხნარაზე, რომელიც მდებარეობს გორის მაზრის სურამის ახლოს.

სურამში ყოფნის დროს ხშირად დავდიოდით ცოცხნარაში, ვმართავდით წარმოდგენებს და ვაწვდიდით ჟურნალ-გაზეთებს. სოფლელებიც ჩამოდიოდნენ ჩვენთან სტუმრათ სხვა და სხვა კამპანიების ჩატარების დროს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ არ გვავიწყდებოდა კავშირი, ადრიდან იგზავნებოდა ერთი კურსანტი მოხსენების გასაკეთებლად, გამოიწერებოდა რამოდენიმე გაზეთი. ვეხმარებოდით გაზეთებით და წიგნებით პატარა სამკითხველოს მოსაწყობად და ვამარაგებდით საძღმედვეგანო ევხმარებოდით მატერიალურად. სკოლის ვაწვდიდით სახელმძღვანელოებს, ფანქრებს და რვეულებს. სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს სხვა და სხვა საქმეებში გამო ვუწევთ ყოველმხრივ დახმარებას საქმის მოსაწესრიგებლად.

ასე ვეხმარებით ჩვენ საშეფო სოფელს.

ე. ხუციშვილი.

# ტუის კვირეული წითელ ყაზარმაში.

მეცნიერულობის ავადმყოფობანი.

ყოველ ჩვენგანს უნახავს ლურ მოვლენას.

ხის მატლები ვისაც კი შეხვედრია სოფელში ცხოვრება, მაგრამ ბევრმა არ იცის თუ როგორი მავნებლობა მოაქვთ მათ მცენარეებზე გაჩაღებით. ამ მატლების ერთი ნაწილი ვითარდება და იზრდება ხის ქერქის ქვეშ, ზოგიერთი კი თავის ბინით და საკვებით მერქანი აირჩიეს (მერქან-ხისმცილი), რითაც დიდი ზარალი მოაქვს.—ზოგი შეხებაზე ხეების საწუთმის სასწავლოდ მასალის ფიცრებს, აგრეთვე თითო ცალკეა ხეებს ამ მატლების დაღრღნილს და გახრწნულს. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენენ ეს მატლები, როგორ ჩნდებიან ისინი, რა მავნებლობა მოაქვთ და როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ არა სასურველ გაზაფხულზე ან და ზაფხულის პირველ რიცხვებში, მინდორში მრავლათ დაფრინავს სხვა და სხვა ჯიში, სიდიდის და ფერის პეპლები ისინი დაფრინავენ ყვავილიდან ყვავილზე მცენარეების-მცენარეზე და თავის ბუსუსებით გადააქვთ მამრობითი ყვავილის მტვერი დედრობით ყვავილზე, რის შემწეობით ხდება განაყოფიერება, მაგრამ ეს სარგებლობა ათასჯერ უფრო ნაკლებია იმ ზარალზე, რომელსაც ისინი აყენებენ მცენარეებს.

განაყოფიერებული დედალი პეპელა, რომელიც ტანით ბევრით მეტია ვიდრე მამალი, მიდის და კვერცხებს სდებს ხის ქერქის ქერცლებში, რის შემდეგ თვითონ კვდება. რამდენიმე ხანში,

ამ კვერცხებიდან იჩეკებიან პატარა მატლები, რომელნიც ხარბათ სჭამენ და საოცარი სისწრაფით ანადგურებენ ფოთლებს და ნორჩ ყლორტებს. ისინი მიცოცავენ ბუდიდან პირდაპირ ხის ფოთლებისაკენ, სადაც ერთი ფოთლიდან მეორეზე გადადიან და სპობენ პირ-ადლებით მათ. ხშირია ისეთი მოვლენაც, რომ მთელი ტოტი დაკორტნილია ასეთი მატლებით, რის გამო ხე ხმება ან და ავათმყოფდება. როდესაც მატლი დასრულდება ის იწყებს პარკში გახვევას სადაც დაყოფს რამდენიმე ხანს და გამოფრინდება პეპელი.

არიან ისეთი მატლებიც, რომელნიც მხოლოთ მერქანით იკვებებიან. ისინი გააკეთებენ დიდ ხვრელს, ხის ცილაში დასდებენ კვერცხებს, რომელნიც გამოჩეკისთანავე შეუდგებიან თავიანთ ერთგულ საქმეს. ღრღნიან ხეს და ბოლოს შიდვე კოკრდებიან, ეხვევიან პარკში და იქვე გამოიჩეკებიან პეპლებათ. ეს რიგი მწერებისა იწოდება მერქან-მჭამელებათ. ზოგი სახის მერქან-მჭამელები არ სჯერდებიან მოჭრილ ხეებს, ისინი თავს ესხმიან დაავათმყოფებულ და ხან და ხან თვით ჯანსაღ მცენარეებს, რომელთაც რამდენიმე ხნის განმავლობაში სიცოცხლეს ასალმებენ. (ხეები ტყეში ავათმყოფდებიან კანის უხეირო შემოცლით, თხების შეშვებით, საყავრე ნაფოტის აცლით და სხვ.) ზოგი ჯიში პირდაპირ ნორჩი ყლორტებით იკვებება და გაზაფხულზედვე ანადგურებენ ჯერ კიდევ განუვითარებელ ქორფა ნაზარდს. მომეტებულ შემთხვევაში კი ხის ფოთლებით იკვებებიან და რომ ფრინველებისთვის ან ხის ბაყაყისთვის შესამჩნევი არ იქნენ ისეთსავე ფერს იღებენ როგორისაც არის ფოთოლი. ეს თვისება ახასიათებს მრავალ ქვეწარმავალთა ოჯახებს, როგორც არიან გველები, ხვლიკები, ბაყაყები და სხვა.

მ. დ.

# ამბები სოფლებიდან.

**გლეხკომის დახმარება.**

შორაპნის სამაზრო გლეხკომმა, იანვრიდან მარტამდე დაუბარჯავს ღარიბთა დასახმარებლად 1.579 მანეთი.

**სამაგალითო თემები.**

შინაგან საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობით, დუშეთის მაზრის ორი სამაგალითო თემში, მაზარეთში და ფასანაურში მოწყობილი იქნება რადიო მიმღები სადგურები.

**საკრედიტო ამხანაგობანი სოფლათ.**

გორის აღმასკომმა დაადგინა გახსნას სასოფ. სამეურნეო ამხანაგობები ამხანაგობანი სოფ. ტყვიავში და ბობნევში.

**რაჭის მილიცია.**

რაჭის აღმასკომმა დაადგინა მილიციის პოსტი არ გადაიტანოს სოფ. ამბროლაურიდან სოფ. წესში, რადგანაც ამბროლაურში ბევრი სახელმწიფო ბრივი დაწესებულებები არიან, რომელნიც საჭიროებენ დაცვას.

**შუამდგომლობის დაკმაყოფილება.**

ბორჩალოს აღმასკომმა დააკმაყოფილა მცხოვრებთა შუამდგომლობა, კამარლინის თემსაბჭოს სოფ. ყარაპოლაში გადატანის შესახებ.

**დახმარება დაზარალებულ გლეხებს.**

შორაპნის სამაზ. გლეხკომმა დახმარება აღმოუჩინა სამშენებლო მასალის უფასოდ მიწოდებით სოფ. საზანოს და საქარის იმ გლეხებს, რომელთაც სახლები დაეწვათ.

**აგარაკის გაშენება.**

ლაგოდეხის გლეხკომმა გადასწყვიტა იაგოს ლაგოდეხის რაიონში სააგარაკო სახლები და მოაწყოს საკურორტო ადგილი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ სახლებს აშენებენ ამერიკაში.

უმაღლესი სახლი, რომელიც კი აშენებულა ჯერ-ჯერობით მსოფლიოში, არის ქალაქ ნიუ-იორკში (ამერიკა). ამ შენობას უწოდებენ „სავაჭრო ტაძარს“. შენობაში მოთავსებულია აუარება სავაჭრო ბანკები, სავაჭრო ფირმები და სხვა. ამ შენობის აგება დაჯდა 4 ნახევარი მილიონი დოლარი.

შენობას აქვს ხუთი ათასი (5.000) ფანჯარა, 26 სართული დედამიწის ზედა პირის ზევით. ამას გარდა ამდენივე სართული აქვს აგრეთვე შენობის კოშკს.

შენობის სიმაღლე უდრის 250 მეტრს. ეს ცისტერნა შენობა იტევს 14,000 მოსამსახურე კაცს. შენობაში დადგმულია 2,800 ტელეფონის აპარატი და აქვს 29 ლიფტები (ზემო სართულში ასასვლელი მანქანები). სახლს ესჭიროება ელექტრონული ენერგიის ისეთი რაოდენობა, რომელიც თავისუფლად ეყოფა კიდეც ამ მაღალ სახლს მოსახლეობას 50,000 მოსახლით დასახლებულ ქალაქს.

ორი ლიფტი აღის შენობის თავზედ (ვიწ. 54 სართულს) წუთში 700 ფუტის სიჩქარით, ძლიერ წყნარად. თითეული ლიფტი კაბინად და თითეული ლიფტი შეიარაღებულია არიან გაგნატურთი წყლის საკრებით (ბასეინ) და ამნაირად შენობა უზრუნველყოფილია ცეცხლის გაჩენისაგან.

# ახალი ამბები.

— **რევტრიბუნალთან**, რეგმედასის ბიუროს დაარსება მოხდება დივიზიის რემედასის კომიტეტის მიერ ახლო ხანში.

— **წითელ არმიელთა კლუბის მოსაწყობათ** ქუთაისის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მდგარ № ტერლეგიონს 150 მანეთი.

— **სამხედრო მოსამსახურეები**. საც.-დასწავლულ სამართველომ დაადგინა, რომ სამხედრო მოსამსახურეები, რომელნიც სპეციალურ კურსიების შემდეგ შეიცველებიან საერთოდ აქიმობას, გატარებულ იქნენ საკონტროლო საექიმო კომისიაში.

— **დასახლევი წიგნების ალრიცხვა**. დამხედვება ქუთაის მამხსწარმომ დაადგინა მოახდინოს დასაწყებ წიგნების ხელ-ახალი აღრიცხვა.

— **საბავშო სანატორიუმი**. ტფ. ქალაქის აღმასკომმა მანგლისში მოაწყო საბავშო სანატორიუმი 25 საწოლით.

— **სახლი უმუშევართათვის**. შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა უმუშევარ მოხარდთა სახლის ასაშენებლად დაასტოუროს 10 ათასი მანეთის გადადება.

— **ჯანმრთელობის დახაცვადყ**. თიანეთის მაზრის აღმასკომმა გადასცა ახალქალაქის აღმასკომს, მაზრაში ჯანმრთელობის საქმის საჭიროებისათვის 9 ათასი მანეთი.

— **ხანძართან ბრძოლისათვის**. ტფილ. აღმასკომმა ლენინგრადში შეიძინა 15 ათასი მანეთის ცეცხლის საქრობი იარაღები.

— **ქარხნის მოწყობა**. წარმოებულ ქარხანა გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელში ააგოს თამბაქოს ახალი ქარხანა.

— **მებამბეობა**. წინოსკავშირის თათბირით 1925 წლის განმავლობაში საქართველოში დამუშავებული იქნება 6.400 დესეტინა მიწა.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ჭანკვეტაძეს**. „ორგანიზატორი და ბიბლიოთ წერტზე“ არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. დარიშვილს**. თქვენი წერილი „ჯგუფობრივი მეცადინეობა“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. კინხაძეს**. თქვენი კორესპონდენცია „მშვენიერი წითელ არმიელების აღმზრდელები“, გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ამხ. ი. ბაღათურიას, კ. მაღნარაძეს, მორიელს, დ. ზეფრაშვილს**. თქვენი კორესპონდენციები, „ქალთა დღე“, „18 მარტი მესამედღეობში“ „12 მარტი მესამე ლეგიონში“ და „მცირეს ამხ. დარიშვილი“ არ დაიბეჭდებიან. ასეთები უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ლ. გოგრაძეს**. თქვენი კორესპონდენცია თამბაქოს შესახებ არ დაიბეჭდება მიმართეთ ისევ უმის კომისარს.

**ამხ. პლატონ გამყრელიძე**. წერილი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ არ გამოდგა.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის ფურცლებში მოათავსოთ შემდეგი.

საკავშირო ცაკის თბილისში ჩამოსვლის დღეს, ალექსანდრე ზე თეთრი ქუჩაზე მიმავალ სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ამხანაგს ესთხოვე „ფაფახი“. ქუდის პატრონს პირადათ არ ვიცნობ და არც ის ვიცი თუ სად მსახურობს.

ვაცხადებ, რომ აღნიშნული „ფაფახი“ არის ქართულ პირველ ლეგიონში ამხ. ცინცაძესთან და ვთხოვ პატრონს წაიღოს.

დ. ცინცაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# განცხადება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. ღ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოსულია აქეთ განცხადება შემდეგ ამხანაგების:

კომპარტიის კანდიდატს გიორგი სამსონის-ძე კუპულაძეს და კომკავშირის წევრს ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე გორგაძეს. პირველი თხოულობს კომპარტიის წევრად დამტკიცებას და მეორე კი კომპარტიის კანდიდატათ გადაყვანას.

აღნიშნული უჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით მათ შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

მისამართი: ქ. ტფილისი დავიდოვის ქუჩა № 6. ცალკე საკავშირო ასეული ყაზარმა.

კომუჯრედის მ. მ. მღივანი ახალაშვილი.

დაკარგე

„თვეობრივის“ საწყობო წიგნაკა, ჰაირაპეტ იაგორისძე აგიანცის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად.